



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1670
12/09/2018

ქალაქი ბათუმი

1670-05-4-201809121701



ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრისათვის შეძენილი მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჭაშვილის 2018 წლის 07 სექტემბრის №2615-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ა(ა)იპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“-ს თხოვების ფორმით, გადაეცეს ქედქედისა და ჩიქუნეთის კულტურის კლუბებისათვის შეძენილი მოძრავი ქონება საერთო ღირებულებით 22590 (ოცდაორიათასხუთასოთხმოცდაათი) ლარი, თანახმად დანართისა.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას (ლ.ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრთან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ა.ბაჭაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) და ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრს მიღებული ქონების მიმართ ყოველწლიური საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სადაც მხარეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა